№ 44
სამშაბათი, 28 თებერვალი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1895

# ივერია

№ 44
სამშაბათი, 28 თებერვალი

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. კ. ი. ბაგრატიონ მუხრანსკი ამით აუწყებს თავად-აზნაურთ, რომ სამშაბათს, 28 თებერვალს, ანჩის-ხატის ეკკლესიაში გარდახდილ იქნება პანაშვიდი გარდაცვალებულის

**დიდის მთავრის ალექსი მიხეილის ძის**

სულის მოსახსენებლად.

პანაშვიდი დაიწყება დილის 11 საათზედ.

(1—6—1)

ხუთშაბათს, 2 მარტს, ტფილისის საკრებულო დარბაზში გამართული იქნება კონცერტი „ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ სასარგებლოდ. მონაწილეობას იღებენ საიმპერატორო თეატრის არტისტი ა. დ. დავიდოვი, არტისტები: ნ. ე. დარსკი, ვ. ა. აბაშიძე, გ. გედევანოვი, ე. პრესმანი, დუმა და მოყვარულნი: ქ. ქ. დევოშ-სობოლევისა, მარცინკევიჩისა; ბბ. ე. მ. თუმანოვი, მ. ბ. კოვალევსკი და თავ. ე. დ. ერისთავი. დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

წინ-და-წინვე ბილეთების სყიდვა შეიძლება „ნოვოე ობოზრენიის“ რედაქციის კანტორაში, ხოლო კონცერტის დღეს საკრებულოს კასაში.

3.—უ—3

## წლიური საზოგადო კრება.

რადგან 19 თებერვლისათვის დანიშნული წლიური საზოგადო კრება ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრთა არ შესდგა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ, თანახმად წესდების § 15-ისა, კრება ხელმეორედ დანიშნულია 5 მარტისათვის, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, დილის 10 საათზედ.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1 ენკენისთვიდგან 1893 წლ. 1 ენკენისთვემდე 1894 წ.

2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის და წარსულის სარევიზიო კომისიის მოხსენების შესახებ.

3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1 ენკენისთვიდგან 1894 წ. 1 იანვრამდე 1895 წ. და მთელის 1895 წლისა.

4) მოხსენება გამგეობისა თავ. ივ. გ. მაჩაბლის მიერ საზოგადოების სახელზედ ბანკში შეტანილის ბროსეს პრემიის თანხის მოხმარების შესახებ.

5) მოხსენება გამგეობისა ბ. გ. დ. ქართველიშვილის შემოწირულების შესახებ.

6) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

7) არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარისა და გამგეობის წევრთა.

მაქვს ფარჩაზედ დახატული თამარ დედოფლის სურათი ბალიშებისათვის, თითოეული ღირს 2 მანეთი, აგრეთვე ქართველების ყველა გამოჩენილის კაცის სურათი აბრეშუმის ცხვირსახოცზედ. თითო ღირს 60 კ.—1 მან. ხოლო წიგნში ჩასადებ ლენტებზედ დახატული 25 კ.—30 კ. თუ ჰსურს გამოიწეროს ვინმემ და ან გადაიხატოს, ამ ადრესით მომმართონ.

ვანქის ქუჩა № 7, სახლი მურადოვისა, ალექსანდრა რადინოვისას.

## ტფილისი, 28 თებერვალი.

ჩვენს გაზეთში ორი წერილი დაისტამბა ამ დღეებში სოფლის მკურნალებისა და მკურნალობის შესახებ: ბ-ნის დიმ. ერისთავისა და ბ-ნის კორ. მაღრაძისა. უეჭველია მკითხველები მიაქცევდნენ ყურადღებას ამ წერილებს; ამისთვის დაწვრილებით მათს შინაარსს აქ აღარ მოვიყვანთ და პირ-და პირ ავტორების აზრების გარჩევას შევუდგებით.

პირველის შეხედვით ამ ორს წერილში სხვა-და-სხვა, სრულიად საწინააღმდეგო აზრი არის გამოთქმული. მაგრამ, თუ ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ ორივე ავტორი ერთსა და იმავეს ამბობენ; ბ-ნის დიმ. ერისთვის წერილის დედა-აზრია, რომ სოფელში ბევრი ვნება და ბევრი ცუდი საქმე ხდება სოფლის მკურნალებისაგან; ბ ნი კორ. მაღრაძე ამ აზრს სრულ სიმართლედ სთვლის. აღნიშნულის ვნების ასაშორებლად ბ ნის ერისთვის აზრით საჭიროა ბრძოლა, რომელიც უნდა იკისრონ ქართველმა ნასწავლმა ექიმებმა; ამ აზრს მაღრაძეც სრულიად ეთანხმება. საცილობელი მათ შორის არის მხოლოდ შემდეგი: მაშინ როდესაც პირველის წერილის ავტორი სასტიკად ჰკიცხავს სოფლის მკურნალებს, ბ-ნი მაღრაძე მათ მოწყალედ გამოდის და ურჩევს ნასწავლს ექიმებს, კარგად ჩაუკვირდნენ სოფლის მკურნალობას და ჰპირდება კიდეც, რომ „ბევრს ახალ რასმეს შესძ ნენ ამით მედიცინას“. ჩვენის აზრით, საცილობელ საგნის შესახებ, ორსავე ავტორს გადაუჭარბებიათ. გადაჭარბებულია ბ-ნის ერისთვის აზრი, რადგან იგი სრულიად უარ-ჰყოფს სახალხო მედიცინას; აგრეთვე გადაჭარბებულია მეორე წერილის ავტორის დაპირება, რომ სოფლის მკურნალობის შესწავლა „ბევრ რასმეს შესძენს მედიცინასა“-ო.

რასაკვირველია, შეუძლებელია, რომ ხალხს, რომელსაც ასე დიდი დროის კულტურა აქვს, სრულიად არაფერი შეემუშავებინოს სასარგებლო მკუნალობის შესახებ. ამას ამტკიცებს თუნდ ისიც, რომ თვით მედიცინის წარმომადგენელთ არა ერთხელ უთქვამთ, რომ სახალხო მკურნალობის შესწავლა-გამოკვლევა დიდად საჭირო არისო. ამასთან მეორეს მხრით ისიც ცხადია, რომ ამ მკურნალობაზედ დიდის იმედების დამყარება შეცდომა იქნება: ბევრი რამ ლეგენდას უნდა მიეწეროს, ბევრი კიდევაც კარგი ხანია ცნობილია მედიცინაში, ან მედეცინიდგანვე აქვს ხალხს გადაღებული. მაგრამ დავანებოთ თავი ამ საგანს; ჩვენთვის აქ საკმარისია შემდეგი: ორივე ავტორი თანახმად აღიარებენ, რომ უმეტეს ნაწილად სოფლის მკურნალების მოღვაწეობა მავნებელია და რომ მათთან ბ ძოლა საჭიროა.

ყველას გაგვიგონია, რომ ჩვენი სოფელი ამ მხრით უპატრონოდ არის დაგდებული, რომ სოფლის მცხოვრებელს უთუოდ სჭირია ნასწავლი ექიმის დახმარება. ექიმებმა კარგად იციან, რომ 50% სოფლად გარდაცვალებულთა ცოცხალი დარჩებოდა, რომ ექიმის დახმარება ყოფილიყო! „იმდენი დღე მე და ჩემს შვილებს შეგვემატოს, რამდენი სული დაიღუპოს და წუთი-სოფელს გამოესალმოს ჩვენს სოფელში სულ უბრალო ავადმყოფობის გამო“, შესჩივის გლეხი „მოამბის“ კორესპონდენტს კახეთში.

ნუ თუ გულ გრილად უნდა ვუცქიროთ ამ საშინელს მდგომარეობას?!. ნუ თუ გულზედ ხელდაკრებილნი უნდა ვისხდეთ, როდესაც ჩვენის ერის უმრავლესობა უპატრონობის გამო უბრალო ავადმყოფობით იღლიტება?!

რუსეთის შიდა გუბერნიებში მკურნალობის საქმე რიგიან ნიადაგზეა დამყარებული, რადგანაც ამ საქმის მოწყობა მთავრობამ ერობას გადასცა. ერობათ, თავ-თავიანთ შემოსავლის დაგვარად, მოჰფინეს სოფელი პატარა სამკურნალოებით, აფთიაქებით და სხვა. გარდა ერობათა აქა-იქ სოფლებში თავგანწირულად იღვწიან სოფლად თავის ნებით დაბინავებულნი ექიმი ქალები და კაცები. ეჭვი არ არის, რომ რუსეთშიაც არ არის ჯერ-ჯერობით ეს საქმე, როგორც რიგია, ისე მოწყობილი. მაგრამ რუსეთის მდგომარეობა სასოფლო მკურნალობის შესახებ ჩვენ ქვეყანასთან შედარებით თითქმის იდეალურია.

# ფელეტონი

## სამეცნიერო ნაწილი.

მკითხველო, ყოფილხარ თუ არა იმნაირს მდგომარეობაში, როდესაც სადმე სტუმრად მისულხარ და სადილზედ ვერ გამოგიცვნია, რა საჭმელია ის საჭმელი, რომელსაც შეექცევი. ჰხედავ რომ დიასახლისს რაღაც, ერთობ სასიამოვნო და გემრიელი საჭმელი გაუკეთებინებია, მაგრამ სცდილობ გამოიცნო და ვერ გამოგიცვნია. დიასახლისიც განგებ გიმალავს სახელს: თქვენ თითონ გამოიცანითო და თქვენც სცდილობთ გამოცნობას. თქვენს კერძს ხან დაჰსუნავთ, ხან იგემებთ, ხან ჯამში ჩახედავთ, რომ დაინახოთ რა და რა არის შიგა, ერთის სიტყვით, სინჯვაში ხართ და თან-და-თან ატყობინებთ მასპინძლებს, გამოვიცანო: ამ საჭმელს ცოტა პიტნა აქვსო, ესა და ეს მწვანილი, ცხვრის ხორციო, სიმჟავეო და სხვა ნივთიერებაცაო. ერთის სიტყვით, ასახელებთ ყველა იმ ნივთებს, რომელნიც უცნობს საჭმელს შეადგენენ.

ამ შემთხვევაში თქვენ სწორედ ისე იქცევით, როგორც ქიმიაში იქცევიან სწავლულნი ქიმიკოსნი. ამ მეცნიერებას, ქიმიას, სხვათა შორის, საგნადა აქვს გაიგოს, რა და რა შეადგენს ამა თუ იმ ნივთიერებას. მაგ. წყალი რა და რა ნივთიერებიდგან შესდგება, ღვინო, მიწა, ქვა, რამე (წვენი), ერთის სიტყვით, რასაც-კი დაასახელებთ ქიმიის ხვედრია: ყველგან შეიტყობს საიდგან შესდგება დასახელებული ნივთიერება. ქიმიისთვის საიდუმლო არ არსებობს. და ამ საიდუმლოს გამოსამჟღავნებლად იგი სწორედ ისე იქცევა, როგორც ზემოხსენებული სტუმარი იქცეოდა საჭმლის გამოსაცნობად: იგემებს, ჰსუნავს, უყურებს და თუ ეს არა კმარა, სხვა საშუალებასაც მიჰმართავს ხოლმე, საყურადღებო აქ ის არის, რომ ამ ორსავე შემთხვევაში სურვილიც ერთია და საშუალებაცა. სურვილი ის არის, რომ უცნობს მიჰხვდეთ და საშუალება ერთ გვარი მოქმედება არის, რომელსაც მეცნიერულად ანალიზი ეწოდება.

ვსთქვათ, მიჰხვდით რა და რა შეადგენს თქვენგან უცნობს საჭმელს. ახლა გსურთ ის საჭმელი თქვენ თითონ გააკეთოთ, ამისთვის უნდა აიღოთ ყველა ის, რაც იმ საჭმელს შეადგენს და იმ ზომაზედაც, რა ზომაც საჭირო არის. (ამდენი და ამდენი ხორციო, ამდენი პიტნა და სხვა საკმაზიო, სიმჟავე და სხვა), ყველა ამას აურევთ ერთად თუ ცალკ-ცალკე, ადუღებთ, თუ გადაადუღებთ და ამნაირად მოხარშავთ სასურველს საჭმელს.

ამ შემთხვევაშიაც სწორედ ისე ჰმოქმედებთ, როგორც სწავლულნი ჰმოქმედებენ ქიმიაში. მაგ. სწავლულმა ქიმიკოსმა იცის, რომ წყალს ორი ჰაეროვანი ნივთიერება შეადგენს: წყალ-მბადი და მჟავ-მბადი (ამას ანალიზის საშუალებით მიხვდა). ახლა, ამ ჰაეროვან ნივთიერებისაგან წყალი რომ დაჰბადოს ქიმიკოსმა—უნდა ერთნაირად აურიოს ეს მჟავმბადი და წყალ-მბადი და ჰაერ-მსგავსი წყლად გადიქცევა. ეს ისეთი ადვილი საქმეა ქიმიისათვის, როგორც სოფლელისთვის ფაფის გაკეთება. განსხვავება ის არის, რომ ფაფისთვის საჭიროა ცეცხლი და წყლისათვის-კი ელექტრონი. სხვაფრივ-კი ეს ორი მოქმედება: ცალკე ნივთიერებისაგან საჭმლისა და წყლის შექმნა, ჰგვანან ერთმანეთს. ამის მიზანიც და საშუალებაც ერთია. მიზანი ხომ თვალსაჩინოც არის და საშუალება-კი აქაც ერთ-გვარი მოქმედება არის, რომელსაც იმავე მეცნიერულად სინტეზი ეწოდება. ანალიზმაც და სინტეზმაც ძალიან მოიდგეს ფეხი ქიმიაში. შესაძლებელია ითქვას, რომ თითქმის არ არსებობს ისეთი რამ ქვეყნიერობაზედ, რომლის ანალიზში გატარება არ შეიძლებოდეს: ქიმიამ, თითქმის, ყველაფერი იცის: საიდგან შესდგება პური, ლიმონი, რკინა, მინა, ერთის სიტყვით, ყველაფერი! სამაგიეროდ სინტეზი უფრო უძნელდება ქიმიას. ყოველთვის ხომ სახლის დანგრევა უფრო ადვილია აშენებაზედ. აქაც ისე არის. ანალიზი, რომელიც დანგრევასა ჰგავს, უფრო ადვილია, ვიდრე სინტეზი, რომელიც რისამე აშენებას მოგაგონებთ.

მაგრამ ამ ჟამად სინტეზმაც ისე საოცრად წარსდგა წინ ფეხი, რომ დაჯერებით შეიძლება ითქვას: ხვალ და ზეგ, მეცნიერების შემწეობით, სინტეზი ისეთი მარჯვე იარაღი შეიქნება, რომ ქიმიისათვის შეუძლებელი აღარა იქმნება რა—ყველაფრის „აშენება“ შეეძლება მას.

აი, მაგალითებიც. რაღა თქმა უნდა, რომ მკითხველს ზედ-მიწევნით ეცოდინება, რა ნივთიერება აქვს ჭარხალსა. ჭარხლიდგან, სხვათა შორის, შაქარსაც აკეთებენ. წარმოიდგინეთ, რომ ეხლა ქიმიის სინტეზის შემწეობით ჭარხლის შეწუხება აღარ მოგვინდება შაქრის გასაკეთებლად. ამას წინად საფრანგეთის გამოჩენილმა მეცნიერმა მაქს ნანსიუტმა გამოაცხადა შაქრის გაკეთების ახალი საშუალება, რომელიც საფრანგეთში გამოუგონიათ. ნუ გაუკვირდება მკითხველს, თუ ვეტყვით, რომ ამიერიდგან შაქრის გაკეთებისათვის ორი გაზი, ჰაეროვანი ნივთიერებანი არიან საჭირო: ნახშირ-მჟავე და ეტილენი. თუმცა გასაკვირველი-კი არის ორმა ჰაერის მსგავსმა ნივთიერებამ შაქ რი როგორ უნდა გამოჩეკოს, მაგრამ ეს უტყუარი ფაქტია, რამდენჯერმე მოხდარი და განმეორებული. ამ ახალის წესით, დაახლოვებით, ასე მზადდება შაქარი: ყუთს ორის მხრივ მილი აქვს. ყუთის შუაგულში სძევს ფუტუროიანი მჭადა ქვა და ამ მილებიდგან ყუთში შედის ერთის მხრივ ეტილენი, მეორეს მხრით-კი ნახშირმჟავე. ამ ორს გაზს წყლის ორთქლიც უნდა დასდევდეს თანა. ყუთში ეს გაზები

ლურია. მართალია საქართველოში დღეს ერობა არ არსებობს, მაგრამ ნუ-თუ ამით თავის გამართლება შეგვიძლია?! პირიქით ჩვენი მოვალეობა ორკეცდება და ჩვენმა მხნეობამ ერთი ასად უნდა იმატოს.

ჩვენს სოფელში დღეს აქა-იქ თითო-ოროლა ნასწავლი ექიმი ჭაჭანებს, დანარჩენნი ქალაქებს ეტანებიან და უფრო ხშირად განჯის, ერევნის, ბაქოს გუბერნიებში გარბიან მოხელეებად! იმ დროს, როდესაც სახლში სამშობლოს მომავალი იმედი და დღევანდელი მუშა-მრჩენელი წოდება უექიმოდ ვიღაც მატყუარა მარჩიელების ანაბარად არის დაგდებული, ჩვენი ახალგაზდა ექიმები დაღესტნის სოფლებში გადაკარგულან! ნუ-თუ მათ ამრიგად ჰსურთ გარდაუხადონ ვალი თავისს გამზრდელს სამშობლოს?! ნუ თუ ამაზედ უფრო სასარგებლოდ ვეღარ გამოიყენეს თავისი სწავლა-მეცნიერება?!.

ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებულს მდგომარეობაშია დღეს და ამიტომ აქ არის საჭირო შეერთებული ძალა, შეერთებული მოღვაწეობა ერის გულ-შემატკივართა. ეჭვი არ არის, როდესაც ნასწავლ ექიმთა რაზმი ქალაქებში გამრავლდება და ბრძოლა არსებობისთვის მათ შორის უკიდურესობამდე გამწვავდება, მაშინ-კი, უეჭველია, ჩვენი ნასწავლი ექიმები სოფელს მიაშურებენ; მაგრამ რად უნდა ვუცადოთ იმ დროს, როდესაც სტიქიონთა ძალა გადაგვტყორცნის იქ, სადაც ჩვენ დღესაც უნდა ვიყოთ ჩვენის ნებით, სადაც ნამდვილად ვართ საჭირო?!.

ამბობენ, ეს შეუძლებელიაო, რადგანაც სოფელში ექიმი დღეს შიმშილით მოკვდებაო. მერე ვინ სცადა ეს? განა შეიძლება ამ ფრიად სამნიშვნელო საგნის შესახებ თითო-ოროლა მაგალითი მიიღოს სახეში და საქმე საბოლოოდ გადასწყვიტოს?! საქართველოში ახლა მრავალი მოზრდილი სოფელია. ამგვარს სოფლებში ნასწავლი ექიმები, რასაკვირველია, სულ ადვილად მოიდგამენ ფეხს. შემდეგ ამათ შეეძლებათ საზოგადოება დაარსონ. ამ საზოგადოებამ, უეჭველია, საკუთარი თანხაც უნდა გაიჩინოს და საწევრო ფულის გარდა, იმედია, ქართველი საზოგადოებაც დაეხმარება. ექიმთა ამგვარ საზოგადოებათ შეეძლებათ ხელი მოუმართონ პირველს ხანებში პატარ-პატარა სოფლებში თავისს მოღვაწე ამხანაგებს.

ლალი.

# ახალი ამბავი

*** ხელმწიფე იმპერატორს უმაღლესად უნებებია შეწყნარება კავკასიის მთავარ-მართლებლის თხოვნისა იმის შესახებ, რომ სპარსეთის და ოსმალეთის ქვეშევრდომზედ ისევე ვრცელდებოდეს 1 მუხლ. კანონებისა, დამტკიცებული 13 ენკენისთვეს 1893 წ., როგორც აქაურ მკვიდრს მცხოვრებზედ. ამის გარდა უნებებია ისიც, რომ რამდენიმე არა-ჩვეულებრივი დასჯა, მომხდარი კავკასიაში, გამორიცხულ იქნას საერთო კანონებიდგანაო. („ყარსი“).

*** სამშაბათს, 28 თებერვალს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ დანიშნულია მორიგი კრება კავკასიის საიმპერატორო საზოგადოებისა. კრება მოისმენს კომისიის მოხსენებას „სახნავი მანქანების“ გამოცდის გამო.

კრებას გარეშეთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

*** ჩვენ მოგვივიდა ქართველთა ამხანაგობის გამოცემის მიერ დაბეჭდილი რომანი ვოლტერ სკოტისა „აივენჰო“ თარგმანი ი. ბაქრაძისა. ეს რომანი იბეჭდებოდა ჟურნალ «მოამბეში» წარსულისა და ამ წლის ნომრებში. წიგნი სუფთად არის დაბეჭდილი, შეიცავს სამას ოც-და-ათ გვერდსა და ღირს ერთი მანეთი.

*** ჩვენ მივიღეთ ტფილისში მუსიკალურ სასწავლებელში დირექტორად ნამყოფის ბ-ნ ი. ი. იპოლიტოვ-ივანოვისაგან შედგენილი წიგნი „ქართული სახალხო სიმღერა და მისი დღევანდელი მდგომარეობა.“ წიგნი საკმაოდ მოზრდილია, რომელსაც წინ უძღვის ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ შემუშავდა ქართული სახალხო სიმღერა; წიგნს თან დართული აქვს ნიმუშად 12 სხვა-და-სხვა ქართული კილო. დაწვრილებითს ცნობებს ამ წიგნის შესახებ შემდეგს №-ში ვაუწყებთ მკითხველებს.

*** ჩვენ მივიღეთ ახალი ქართული წიგნი «ორშა», პოემა ლერმონტოვისა, თარგმანი ლექსად ვ. მხარგრძელისა, გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. დაბეჭდილია სუფთად, შეიცავს 36 გვერდს და ღირს ორი შაური.

*** მოსკოვის გაზეთები იუწყებიან, რომ ნიკოლოზის რკინის გზის საგანგებო მატარებლით პეტერბურგიდგან მოსკოვს მისულა მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის მორიგე გენერალ-ადიუტანტი პ. ა. ჩერევინი და იმავე დღეს, ნაშუადღევის 12 ს. 10 წ., მოსკოვ-ყაზანის რკინის გზის საგანგებო მატარებლით საქართველოსკენ წამოსულა.

*** სოფ. ზაქარა, (დუშეთის მაზრა): ჩვენს სოფელში და საგურამოში საშინლად მძვინვარებს სახადი. დიდი ხანი არ არის. რაც ეს ავადმყოფობა გაჩნდა და 15 კაცი იყო ავად. ერთს ოჯახში 6 ავადმყოფი იყო და სამი მათგანი უკვე იმსხვერპლა. შველა გვეჭირვება.

*** სოფ. ქრისტიანი, (ჩირისტონყაუ): ამას წინად ერთმა ოსმა ხანჯლით მოჰკლა თავისი მამა. მიზეზი სულ უბრალო შელაპარაკება ყოფილა.

*** ბათუმი: ამ დღეებში აქ მოვიდა ერთი ბერძენი, რომელიც საზღვარ-გარეთიდგან მოტანილს აბრეშუმის თესლსა ჰყიდის. მოსვლისათანავე ამ ბერძენმა იშოვა რამდენიმე აგენტი, ისევ აქაური ვაჭრები და იმათის შემწეობით ძალიან ბევრს ასაღებს.

ამ ბერძნისაგან მოტანილს აბრეშუმის თესლს დიდძალი სოფლის ხალხი ესევა, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ სოფლელნი ნაღდს ფულზედ ვერა ჰყიდულობენ, მოსავლის ნაწილს აძლევენ და ბოლოს ამ პირობებს ის მოსდევს, რომ შრომის ფასიც ურჩებათ სოფლელთ.

სასურველია, რომ ტფილისის საბრეშუმო სადგურმა აგენტები იყოლიოს სხვა-და-სხვა ქალაქებში, ამით აიცილოს აბრეშუმის მიმდევარნი უვარგისის თესლის ყიდვას და ის ფული, ანუ მოგება, რომელიც უცხოელის ხელში გადადის, თითონვე მოიხმარონ. ეს საქმე კერძო კაცთაც შეუძლიანთ, თუ მოისურვებენ და ჩვენის ქვეყნისათვის გული შესტკივათ. *)

*** სოფ. დალაგყაუ, (კავკავის მაზრა): წარსულს კვირაში ამ სოფელში მოხდა შემდეგი შემაძრწუნებელი ამბავი: ამ სოფლის საეკკლესიო სამრევლო სკოლის მასწავლებელი ნიკოლოზ სიკოევი და ერთი სხვა ამ სოფლიდგან მეორე სოფელში მიდიოდნენ ცხენით. გზაზედ შემოეყარათ ერთი კაცი, რომელიც სახედრებს მიერეკებოდა თურმე. საბრალო მასწავლებლის სიკოევის ცხენი დაფრთხა სახედრების დანახვაზედ, მასწავლებელი ცხენიდგან გადმოვარდა, დაარტყა თავი ქვას და ისე მძიმედ დაშავდა, რომ რამდენიმე საათი-ღა იცოცხლა. განსვენებული ნიკოლოზ სიკოევი ყმაწვილი კაცი იყო, სულ 23—24 წლისა იქნებოდა.

*** სად. ბესლანი, (კავკავის რკინის გზა): ბესლანის სადგურზედ შინაურმა ქურდებმა შესამჩნევად იჩინეს თავი ამ ორის კვირის განმავლობაში. რკინის გზის [illegible] ნენ ეზოში, სხვა [illegible] ეხერხებინათ, თოკზედ გაფენილი სარეცხი წაეღოთ. ამავე სადგურზედ ტელეგრაფის მოხელეს თავისის სადგომის დერეფნიდგან მოჰპარეს ზამთრის პალტო, კალოშები და სხვა... სადგურზედ ცოტა მოშორებით გზის მცველს მოჰპარეს სამოვარი იმ დროს, როცა გარეთ გამოეტანათ და დაედგათ ასადუღებლად. რამდენი ამისთანა წვრილმანი ქურდობა ხდება ამ სადგურზედ, კაცი ვერ მოსთვლის.

ყველა ამ საქმეების ჩამდენი, როგორც ამობენ, შინაური ქურდ-ბაცაცა, ოსები არიან, რომელნიც ამ სადგურზედ თვიურადა და დღიურად მუშაობენ...

*) ამ საგნის შესახებ ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა ჩვენს გაზეთში: პირველი ის რომ, ვისი და ვისი თესლი უვარგისი გამოდგა და მეორე, სად და რანაირად შეიძლება აბრეშუმის თესლის სყიდვა, ანუ გამოწერა საღისა და საიმედო თესლისა.

რედაქცია.

## დაკრძალვა პრინცის აშილ მურატის ნაშთისა.

(წერილი ზუგდიდიდგან).

სოფ. ჭკადუაში, ოც-და-ორს ამ თვეს, დაკრძალეს პრინცის აშილ მურატის ნაშთი. რამდენისამე დღით წინ გარდაცვალებულის პრინცის ნაშთის დაკრძალვისა ქუთაისიდგან მოვიდა ჭკადუაში პრინცი ოლდენბურგისა მეუღლითურთ. ნაშთის დაკრძალვას დაესწრნენ გურია-სამეგრელოს მღვდელ-მთავარი გრიგოლი, სამეგრელოს თავადი ნიკოლოზი, თავადი კონსტანტინე მუხრანსკი, ტფილისის გუბერნატორი თავ. შარვაშიძე მეუღლითურთ, ძმა განსვენებულის პრინცისა ლუსიენ მურატი; ზუგ. მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, წარჩინებულნი თავად-აზნაურნი, სამღვდელოება, ადგილობრივის ადმინისტრაციის მოხელენი, ვაჭრები და სხვანი. ერთის სიტყვით, სამეგრელოს ყოველ მხრიდგან მოვიდა ხალხი პატივსაცემლად იმ ღირსეულის კაცისა, რომელმაც შეიყვარა ჩვენი ქვეყანა და აგერ 18 წელიწადია სცხოვრებდა აქ.

სასახლის ერთს ზალაში ესვენა ძვირფასს კუბოში ნაშთი განსვენებულის პრინცისა, შემკობილი ყვავილებით და გვირგვინებითა. ხალხი შე-

---

შეჰხვდებიან ერთმანეთს და ამის გამო შაქრის წვენი დაიწყებს დენას. ვაჟინი ანუ სიროფი ცეცხლზედ რომ დადგათ და ამოაშროთ—მიიღებთ შაქრის ნაფხვენს, რომელსაც სურვილისამებრ მოიხმართ. საყურადღებო ის არის, რომ ამ საშუალებით მიღებული შაქარი, რომელიც არაფრით არ განსხვავდება ეხლანდელ შაქრისგან, საოცარი იაფი იქნება: ერთი გირვანქა სწორედ ერთი კაპეიკი ეღირება. ეს ასეც უნდა იყოს. ეტილენი და ნახშირმჟავე იმდენია ქვეყნიერებაზედ, ჰაერში თუ ქვებში, რომ მათ არც ფასი აქვთ და არც დასასრული. ესეც-კი უნდა ითქვას, რომ ზოგს ეჭვი აქვს, ვაი თუ გაძნელდეს სინტეზის საშუალების ნივთიერების გაჩენაო. მაგრამ ამის წინააღმდეგ შეიძლება კაცმა სთქვას, რომ „ურწმუნო თომანი“ ყოველთვის ყოფილან და არიან, მაგრამ ქვეყნიერების წინ-სვლა მაინც თავისას არ იშლის და მეორე ისიც უნდა ითქვას, რომ სინტეზს ისეთი გამოჩენილი მომხრენი ჰყავს, როგორც მაგალითად, პროფესორები ტენარი და ბერთელო არიან. მეტადრე ბერთელოს ისეთი იმედი აქვს სინტეზისა და ამ იმედებს ისე თვალ-საჩინოდაც ასაბუთებს, რომ შეუძლებელია იმ იმედებს არ აჰყვეთ და არ დაუჯეროთ.

ქიმიკოსთა შორის, ამ ჟამად ბერთელო უწარჩინებულესია და იმისს სიტყვას ყველგან დიდი ფასი აქვს. თუ ამას ისიც დავუმატეთ, რომ ეს მეცნიერი დიდის სიფრთხილით გამოსთქვამს ხოლმე თავისს აზრს, შვიდჯერ გაზომავს და ერთხელ გამოსჭრის—მაშინ ხომ დიდის ნდობითა და პატივის-ცემით უნდა მოვეკიდოთ მისგან გამოთქმულს აზრს. აი, რას ამტკიცებს ბერთელო. რაკი შაქრის გასაკეთებლად ამიერიდგან ჭარხალი აღარ მოუნდება ადამიანს, რაღა თქმა უნდა, რომ ჭარხლის თესვაც მეტი იქნება. ეხლა მთელს ქვეყნიერებაზედ აუარებელი მიწები იხვნება ჭარხლის მოსაყვანად—ამიერიდგან ჭარხლისათვის მიწის მოცდენა აღარ იქნება საჭირო. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ სინტეზის, მეტადრე ორგანიულ სინტეზის მოწყალებით საჭირო აღარ იქნება, ადამიანი მეურნეობას ისე მისდევდეს, როგორც ეხლა მისდევსო. ვის რაღად ენდომება მიწების მოხვნა ხორბლისა, ჭარხლისა და სხვა მცენარეების მოსაყვანად. ვის რაღად მოუნდება პირუტყვებისა, სხვილ-ფეხისა და წვრილ-ფეხის გაჩენა, როდესაც ორგანიული სინტეზი ყოვლად და ყველაფრის შემძლედ გახდება. ხორბალს, შაქარს, ხორცს, რძეს, კვერცხს, ერთის სიტყვით, ყველაფერს, რაც-კი ჩვენს საჭმელს შეადგენს, ყველაფერს გააკეთებს ქიმია სინტეზის საშუალებით. გააკეთებს ისე, როგორც ეხლა გაზებიდგან შაქარს აკეთებს და ჭარხალი-კი აღარ დასჭირდება. საგულისხმო ის არის, რომ ქიმიურად გაჩენილი ხორცი გემოთი სრულიად არ განირჩევა ნამდვილ ხორცისაგან, ძროხისას—ძროხის ხორცის გემო ექნება და ცხვრისას კიდევ თავისი; აგრეთვე კვერცხი, რძე—ერთის სიტყვით, ადამიანი ვერც-კი შეატყობს, რომ ახალის წესით არის გაჩენილი ესა თუ ის საჭმელი და არა ძველებურად, ბუნებრივად. რასაკვირველია ახალს ხორცს ხორცის გარეგნობა აღარ ექნება და საზოგადოდ გარეგნობა ყველაფერს გამოეცვლება,—მაგრამ გარეგნობას რა ფასი აქვს, როდესაც შინაარსი ისევე დარჩება: ნოყიერება და გემო წინაწინდებური ექნება.

თუმცა-კი ამის იმედიც აქვს ბერთელოს, რომ სინტეზის საშუალებით გაკეთებული საჭმელი ბევრად უფრო ნოყიერი და გემრიელი იქნებაო, მაგრამ ამასაც არა კმარობს ეს მეცნიერი:

სინტეზის საშუალებით იმდენი ახალ-გვარი საჭმელების გამოგონება შეიძლება, რომ იმისთანა საჭმელი ჯერ არც-კი არსებობს ქვეყანაზეო.

რომ უფრო ადვილად დაიჯეროს მკითხველმა ბერთელოს წინასწარმეტყველება, საჭიროდ მიგვაჩნია, მოვაგონოთ მას ერთი გარემოება. ყველაფერი, რაც-კი ადამიანის საჭმელს ან სასმელს შეადგენს, ერთის სიტყვით, ყველა ის, რასაც სულიერი თავისს საკვებად ხმარობს—ოთხიოდ ნივთიერებისაგან შესდგება; აი, ის ნივთიერებანი: ნახშირ-მბადი წყალ-მბადი, აზოტი, და მჟავ-მბადი. რაც გინდა საკვები აიღოთ, რძე, თუ ხორცი, მწვანილი, თუ მარილი და სხვა, ანალიზის შემწეობით ამ 4 ნივთიერებას აღმოაჩენთ შიგ. საჭმელების სხვა-და-სხვაობა იმიტომ-კი არ წარმოსდგება, რომ „მათ სხვა-და-სხვა ნივთიერებანი შეადგენენ, არამედ იქიდგან, რომ ეს ერთი და იგივე ნივთიერება სხვა-და-სხვა საჭმელში მეტნაკლებობით არის ბუნებისაგან შეზავებული. ვსთქვათ, ერთს მეტი წყალ-მბადი აქვს, მეორეს მჟავ-მბადი და სხვა. თითქმის, მხოლოდ აქედგან წარმოსდგება განსხვავებაც საჭმელებისა. რაკი ეს ასე არის, რაკი ყოველგვარი საკვები მარტო ოთხიოდე ნივთიერებიდგან შესდგება, რაღად გაუძნელდება ადამიანს სინტეზის შემწეობით ყოველ გვარი საკვები შეჰქმნას.

მერე რა იაფად დაუჯდება კაცს ეს ნივთიერებანი: აზოტი და მჟავმბადი—ჰაერში მრავალი არის, წყალმბადი და იგივე მჟავ-მბადი იმდენია წყალში, რომ „წყალს რომ მისცეთ“—არ დაგნანდებათ; მჟავ-მბადი კიდევ—ნახშირ-მჟავეში არის და ეს უკანასკნელი-კი ხომ მცენარეების საკვებია და უთვალავია მთებისა, კლდეების ქვებში.

სინტეზს რომ ყველა ამისი გაკეთება შეეძლება, ამას ისიც ამტკიცებს, რომ მას უკვე ბევრი რამ მოუხერხებია: ეს ზეთიო, ეს საღებავიო, შაქრიო, ვანილიონიო და სხვა ბევრი ამისთანა, რომელიც აქამდის მიწისა და პირუტყვის შემწეობით მოჰყავდა ადამიანს.

დიაღ, ბევრს რასმეს უქადის კაცობრიობას ორგანიული სინტეზი, რომელსაც მხარი ანალიზმა უნდა მისცეს.

—ლი—გ.

დიოდა და მდუღარე ცრემლით დასტიროდა პრინცის ნაშთს.

ოთხს საათზედ გამოასვენეს ნაშთი განსვენებულისა, რომელსაც გამოჰყვა ოჯახობა და ნათესაობა. კუბო მიჰქონდათ თავადს მუხრანსკის, ტფილისის გუბერნატორს თავ. შარვაშიძეს და სხვა პატივცემულთა. წინ კვლაპტრებით, ბაირაღებით, მგალობლებით მიუძღოდა კათოლიკეთა პატრი. უკან მიჰყვებოდა დიდძალი ხალხი. ამ რიგად პრინცის ნაშთი მიიტანეს საკუთარს ჯერ-ჯერობით დაუმთავრებელს კათოლიკეთა ეკკლესიის ეზოში, სადაც დამზადებული იყო ნაშთის დასაკრძალავად „აკლდამა“. იქ დაასვენეს კუბო წესის ასაგებლად. გაათავა თუ არა წესის აგება კათოლიკეთა პატრმა, ბ-ნმა ა. ა. ვერმიშევმა წარმოსთქვა სიტყვა *).

დიმ. —ია.

*) ამ სიტყვას ჩვენ ხვალ დავბეჭდავთ. რედ.

## კორესპონდენცია.

**სოფ. ჯურუყვეთი,** (ოზურგეთის მაზრა). ჯურუყვეთელები არ არიან წლევანდელის წლის მადლიერნი. სხვადა-სხვა გვარმა ავადმყოფობამ და სიკვდილმა მეტად ფეხი მოიდგა აქ (ამ ჟამად ჯურუყვეთში საკმაოდ გახშირებულია ყელის ტკივილი, ანუ, როგორც სოფელში ეძახიან—„კისერბატონები“). მცხოვრებლების შეწუხებას აორკეცებს შემდეგი გარემოება.

წარსულს 1894 წელში ოზურგეთის მაზრის უფროსმა ალშიბაიამ ბრძანება გასცა, ყველა მისდამი რწმუნებული სასამართლოები გაეუმჯობესებინათ: შენობა, სადაც არ ვარგოდა, გადაეკეთებინათ და სასამართლო მოეწყოთ ისე, როგორც წესი და რიგი მოითხოვს. ამისდა მიხედვით ჯურუყვეთის საზოგადოებამ განიზრახა სასამართლოს შენობა სრულებით გამოეცვალა—ძველის მაგიერ ახალი დაედგა. ეს განზრახვა რამდენადმე შესრულდა კიდეც, მხოლოდ ამ საქმემ ხალხში რაღაც უთანხმოება და დას-დასობა გამოიწვია. საქმე იმაშია, რომ ეხლანდელი ჯურუყვეთის სოფლის სასამართლო სდგას ს. ბაღლებში. თითონ ჯურუყვეთის საზოგადოება შესდგება შემდეგის ოთხის სოფლიდგან: ებალაური, ჯურუყვეთი, ბაღლები და ყელა. ებალაური და ჯურუყვეთი ცოტა დაშორებული არის სასამართლოზედ, ნამეტურ ებალაური. ამისათვის ამ ორმა ხსენებულმა სოფელმა ისარგებლა შემთხვევით და, რადგანაც საზოგადოებას სასამართლო მაინც ასაშენებლად გაუხდა, მოინდომა სასამართლოს შუა ადგილზედ დადგმა. ეს, რასაკვირველია, სამართლიანიც იყო, მხოლოდ შუა ადგილი ბევრი გაზომვისა და გამოზომვის შემდეგ რამოდენისამე საჟენით-ღა დაშორდა ძველს სასამართლოს. აქაურმა მამასახლისმა ამ საქმის შესახებ ყრილობა მოახდინა იმ განზრახვით, რომ ხალხი ერთმანეთში დაეთანხმებია და ახლად ნაყიდი სახლი, რომელშიაც საზოგადოებამ 650 მანეთი მისცა, არ დაელპოთ აუშენებლად; მაგრამ მოეხსენებათ სოფლის ანგარიში... ხალხს ეგონა, რომ თვისი მომავალი ბედი ამითი სწყდებოდა და თითოეული თავისებურად გაიძახოდა: „არ შეიძლება!.. გუბერნატორამდის მივიყვანთ ამ საქმეს და თავს მაინც აღარ შევირცხვენთ, რადგანაც საქმე ასე მოირთოო“.

აბა, იმისთანა უფლება-განსაზღვრულს კაცს, როგორიც მამასახლისია, რა უნდა ექმნა აქ! იმან დაუყოვნებლივ მაზრის უფროსს მოახსენა ეს ამბავი.

გასულის წლის უკანასკნელს თვეებში, ჯურუყვეთში მოვიდნენ მაზრის უფროსის თანაშემწე და ადგილობრივი ბოქაული ს. ჯაფარიძე, მაგრამ ვერაფერი გააწყეს. ამის შემდეგ ჯურუყვეთლები თითონ მაზრის უფროსს მოელოდნენ. ბ-ნი ალშიბაია განსაკუთრებით ამ საქმისათვის აღარ მოსულა ჩვენში.

გასულს ქრისტეშობისთვეში სხვა საქმეების გამო იყო მაზრის უფროსი ჯუმათის რკინის გზის სადგურზედ, სადაც, სხვათა შორის, ჯურუყვეთის საზოგადოებაც იყო მიწოდებული და აქ გაკვრით შეეხო ჯურუყვეთლების საქმეს და ურჩია ხალხს, ერთმანეთში შეთანხმებულიყვნენ- ნაყიდი სახლი აუშენებლად ფუჭდება. ხალხი ერთმანეთის ჯიბრით ზარალობს 700 მანეთზედ მეტს. ნუ თუ ასე გაუჭირდა ამ საქმის დაბოლოვება იმისთანა მხნეს და თავის მოვალეობის ერთგულად შემსრულებელს კაცს, როგორიც არის ბ. ალშიბაია?!

ორი მოპირდაპირე მხარე ერთმანეთს არ ანებებენ ამ საქმის ხეირიანად გათავებას. ორი სოფელი ცდილობს თავისკენ წაიღოს და ამით დაიახლოვოს სასამართლო, ხოლო მეორე ორი სოფელი არ ანებებს და ამბობს: „კანცელარია სადაც აქამდის ყოფილა და არის, იქავე უნდა დარჩესო“.

სასურველი და ამასთან უფრო საფუძვლიანიც იქნებოდა სოფლის სასამართლო სოფლის სკოლასთან აეშენებინათ. წინად სკოლაც იქ მდგარა, სადაც ეხლა სასამართლოა. ამ 6—7 წლის წინად ერთს აქაურს მასწავლებელს თვისის მეცადინეობით და ადგილობრივის ბოქაულის დახმარებით გადმოუტანინებია ეს სკოლა ბევრად უმჯობესს ადგილზედ. სკოლა არც ერთის სოფლისათვის არ არის შესამჩნევლად დაშორებული და ადგილის მდებარეობაც მეტად შვენიერია*); ჩემის აზრით ხალხიც დაეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, თუ ბ-ნის მაზრის უფროსის განკარგულება იქნება.

აქაური სტუმარი.

*) ჩვენ დარწმუნებული ვართ, მაზრის უფროსს რომ ეს ადგილი ენახა, მოეწონებოდა და სასამართლოს უთუოდ აქ დაადგმევინებდა სოფელს. მარცხენა მხრით სკოლასა აქვს $1^1/_2$ ქცევამდის გაშლილი მინდორი, რომელზედაც ქვით დაფენილი დიდი შარაგზა გადის. მთელს ჯურუყვეთის საზოგადოებაში, ვფიქრობ, რომ სასამართლოსათვის ამგვარი მოხდენილი ადგილი იშოვებოდეს.

—

**სოფ. ზანათი,** (სენაკის მაზრა). ამ სოფელს შუა ჰყოფს მდინარე აბა. არის აქ ორი ფიცრული ეკკლესია, ერთი იოვანე ნათლის-მცემლისა და მეორე მაცხოვრისა. იოვანე ნათლის-მცემლის ეკკლესია სიძველის გამო მრევლმა დაარღვია და ახალი ეკკლესია ააშენა. ამ ეკკლესიის საძირკვლისათვის, რასაკვირველია, ქვები იყო საჭირო და რადგან შორიდგან ქვის მოტანა არ შეეძლოთ, ერთს კვირა დღეს, წირვის გამოსვლის დროს ბ-ნმა ყარამან კაჭარავამ ურჩია საზოგადოებას, რომ ერთს ადგილას არის ქვის შენობის ნანგრევები და იქიდგან მოვიტანოთ ქვებიო, რადგან აქედგან ერთი ვერსი თუ იქნებაო. რასაკვირველია, ამ სიტყვას დაეთანხმა საზოგადოება, მრევლი მეორე დღესვე წავიდა ურმებითა და ნიჩბებით და დაუწყეს ნანგრევებს თხრა. კარგა ძალზედ რომ ამოანგრიეს, ჰნახეს ფიცრული გათლილი ქვები, მაგრამ ყველა ქვებზედ განსხვავებულის სიდიდისა იყო ერთი ლოდი, რომელიც დღესაც ეკკლესიაში ინახება და რომელზედაც მხედრულის ასოებით სწერია შემდეგი სიტყვები:

„წინა მორბედო ნათლისაო და ანგელოსო მადლისაო ყ.დ წრფელო ღვთისა ნეტარებისა იოანნე ნათლის მცემელო მე დადიანსა ლევანსა შემწე მეყავ დღესა მას განკითხვისასა მას შინა დამიცევ რომელმან აღვიშენე ეკლესია ესე სახელისა თქვენისა და დაგისვენე ხატი სახისა შენისა შემკობილი თვალი და მარგალიტითა სახსენებელად სული კურთხეულისა დედოფ ლთ დედოფლისა ბატონისა ნესტან-დარეჯანისა ჭილაძის ასულისა რათა შემწე გვეყო დღესა მას განკითხვისასა და იხსნა ცეცხლისა და ყოვლისა განსაცთელისაგან და ღირს ყო სასუფეველსა მას სამუთხესა დამკვიდრება და გავაჩინეთ ალაგი წმიდისა დღესასწაულსა თქვენსა ოცი და ცხრასა აგვისტოსა და როგორ გაგვიჩენია ისრე ხატის ზურგზედ დაგვიწერია ხოლ საფუძველი დადებული იყო მის კურთხეულისა და ჩვენ ავაშენეთ ქორონიკონსა. ტჲკ.“

ბ-ნი ჭილავა დიდის ხნიდგან ცნობილია სამეგრელოს მთავრად, ხოლო დედოფალი ნესტან დარეჯანი ბ-ნის ჭილავას ასული ყოფილა, ლევან დადიანის მეუღლე; თუ ლევან დადიანის მთავრობის დროს ახლო ხანად სთვლიან, სხვანაირად რისთვის გვიჩვენებს ნაპოვნს ფიქალზედ წარწერილი ქორონიკონი.

ვთხოვ ბ-ნ ქართველს არქეოლოგებს, გამოგვიანგარიშონ, თუ რამდენის წლისა ყოფილა ეს ძველი დანგრეული ეკკლესია და ჩვენგან ნაპოვნი ფიქალი.

ანდრო უჩამეიშვილი.

## ნაწყვეტი.

—

ნეტავი, ქვეყნის ბოროტი
ერთს ჯამში მომაქცევინა,
შხამ-გესლათ გადამიქცია,
ერთბაშად დამალევინა!

—

— სატრფომან გულის ერთხელამც
ალერსით გამიღიმოსა,
ან არა მომკლას, მკურნალად
თავს ცრემლი დამადინოსა!..

ინ-ანი.

## რუსეთის ცხოვრება.

—

„ნოვოე ვრემია“ იუწყება, რომ ლ. ტოლსტოის მოთხრობა „ბატონი და მუშა“, რომელიც «სევ. ვესტ.»-ის მარტის წიგნში დაიბეჭდება და რომელშიაც იგი ფულს არ იღებს, ერთბაშად ორ სხვა-და-სხვა იაფ-გამოცემად გამოვა მოსკოვშიო.

—

გაზ. „ვრაჩ“-ის სიტყვით ი. მ. სეჩენოვი უარს აცხადებს 35 წლის სამეცნიერო მოღვაწეობის დღესასწაულობაზედ, რადგანაც დრო უკვე გასულია და მასწავლებლობის იუბილეი ჯერ შორს არისო.

—

გაზეთ „ნოვ. ვრემიის“ ერთი თანამშრომელი მოგვითხრობს შემდეგს ამბავს:

„ბერლინის ერთს მცხოვრებელს, რომელიც თავისს თავს „დიდებულს გერმანელს“ უწოდებს, ერთი წიგნი დაუწერია, სახელად „გამარჯვებული გერმანია“. ამ წიგნის ავტორი გვიწინასწარმეტყველებს 1900—1915 წ. მოსალოდნელს ამბებს და ამბობს, რომ ამ წლებში გერმანია უმაღლეს წერტილამდის განდიდდება, ხოლო რუსეთიკი მტვრად იქცევაო. როგორ მოხდება ეს! ავტორის აზრით, სამთა კავშირი გერმანიის მეთაურობით ჯერ საფრანგეთს აუტეხს ომსა და იმის განადგურების შემდეგ რუსეთსაც ისე დაამარცხებენ, რომ იმისი სახსენებელიც არ იქნებაო. ეს ომი ს.-პეტერბურგის ხელ-შეკრულობით დასრულდებაო, რომლის ძალითაც ავსტრია შემოიერთებს ბესსარაბიას, ბალკანეთის მიწები მიეცემა გერმანიის პრინცს, ხოლო ბალტიის ზღვასთან მდებარე მიწები, ლიტვა, პოლონეთი, ყირიმი და საქართველო გერმანიას დარჩებაო“.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

ჟურნალ „რუსკაია ბესედა“-ს ერთი თანამშრომელი აი რასა სწერს ჩინეთისა და იაპონიის ომის შესახებ:

„დიდი წინასწარმეტყველი არ იქნება ის კაცი, რომელიც ეხლავე გამოიცნობს, რა მოხდება შორეულ აღმოსავლეთშიო. იაპონია დაამარცხებს ჩინეთს, რომელიც მომზადებული არ არის და არც რიგიანი სარდლები და ოფიცრები ჰყავს.

ჩვენ ისე ვერ შევაჩერებთ იაპონიას, თუ მთელი „მშვიდობის მოყვარე“ ევროპა ფეხზედ არ დავაყენეთ. და ანგი რასაჭიროა, ეროვნულის მხრივ, ჩვენს მეზობლებს ხელი შევუშალოთ ერთმანეთის სისხლის ღვრაშიო. მაგრამ განა ნება უნდა მივცეთ იაპონიას, რომ დიპლომატიურის ენით ილაპარაკოს, სარგებლობს-რა თავისის გამარჯვებით, რომ ჩინეთს მაწა წყალი ჩამოართვას და ჩინეთმა იაპონიასა და ევროპის ნებაზედ იაროს. რასაკვირველია, არ უნდა მივცეთ ნება, რადგანაც ევროპა-იაპონიის აღმოსავლეთში უფლების გავრცელება დიდს ზარალს მოუტანს რუსეთს და შეიძლება გადასახულმა ჩინეთმა ისეთი ზარალი არა ნახოს, როგორც რუსეთი ნახავს.

მიმინებულის ჩინეთისათვის, იმ ჩინეთისათვის, რომელიც ცოცხალმკვდარს არსებას წარმოადგენს და უგვე იხრწნება, სულ ერთია, ექნება თუ არა ერთი პატარა მიწის ნაჭერით მეტი თუ ნაკლები და ან მასი მეფე „ციურის“ განგებით იქნება დანიშნული თუ იაპონიის მიკადოსაგან, მაგრამ ჩვენთვის-კი სრულიადაც არ არის სულ ერთი.

იაპონიამ რომ სადმე დასავლეთ სახელმწიფოთა სამფლობელოს ახლო დაიკავოს ადგილი, მაგალითად ინგლისის ინდოეთის მახლობლად—მაშინ ჩვენთვისაც სულ ერთი იქნება, მაგრამ იაპონია, ევროპის წაქეზებით, კორეში დაიბუდებს და მაშინ ჩვენ წყნარს ოკეანეზედაც ისევე გვექნება გზა შეკრული, როგორც ბალტიის ზღვაზედ—ზუნდისა და შავ ზღვაზედ—ბოსფორით.

მე ვთქვი, რომ ევროპისკენ გზა დაგვეკეტეთ მეთქი და ჩვენ რომ ალექსანდრე მესამის გამეფებამდის გერმანული პოლიტიკა არა გვქონოდა, 1812—1815 წლებში და 1871 წელს, როდესაც მთელი ევროპის ბედიღბალი ხელში გვეჭირა, შეგვეძლო ხელიდგან ბორკილები აგვეხსნა!

მეორეს მხრივ, რამდენადაც სასარგებლოა ჩვენთვის, როდესაც მეზობლები ომობენ, იმდენად მავნებელია ჩვენთვის ომში ჩარევა, ამ საქმეს გამო ხარჯის გაწევასაც რომ თავი დავანებოთ.

მაგალითად, ჩვენ რომ ჩინეთის მხარე დავიჭიროთ და იაპონიის განდიდებულს მადას ფრთები შევაკვეცოთ, მაშინ ჩვენ ახალს მტერს შევიძენთ, რომელიც თავისს დღეში არ დაივიწყებს გერმანიისა არ იყოს, რომ მარტო ჩვენი ბრალი იყო, რომ თავისი მოწინააღმდეგე ვერ შემუსრა და ორს გერმანიას შორის ყოფნა-ი ვერაფერი ხეირი იქნება.

არც ის შეიძლება, რომ იაპონიას სრული ნება მივცეთ ჩინეთის შემუსრვისა. რადგანაც გარდა იმისა, რომ ევროპზედ მეორე გერმანია—იაპონია გამოგვეჭიმება, ჩინეთიც გადაგვემტერება და ჩინეთი ხომ ჩვენი პირდაპირი მომიჯნავეა.

მაშინ ჩინეთთან შერიგებაც ვერ მოგვიხდება, როგორც მოგვიხდა ფრანგებთან, რადგანაც, თუმცა საფრანგეთი დამარცხებულ იქმნა, მაგრამ იმდენი ძალა მაინც შერჩა, რომ წყლული მალე მოარჩინა, მხოლოდ ჩინეთი-კი თავისს დღეში ველარ ადგება ფეხზედ და ევროპის სათამაშო შეიქნება, ისე როგორიც არიან ოსმალეთი და სპარსეთი, რომლებიც, მოგეხსენებათ, თეთრს კბილსა და შავს გულს გვიჩვენებენო.

მაშ რაღა დაგვრჩენია. გულ-ხელ დაკრებილები ხომ არ გავჩერდებით?

არ შეიძლება ციმბირის დიდს გზას სახელმწიფო მნიშვნელობა წავართვათ და სამხედრო გზად გავხადოთ... დრო-კი საქმესა ითხოულობს. მაშ რა ვქნათ?

მე დიპლომატი არა ვარ და ნებას ვაძლევ ჩემს თავს, ასე გავსაჯო.

წარმოვიდგინოთ, რომ იაპონიასა და ჩინეთს ომი არ ასტეხიათ. ჩვენ მშვიდად ვცხოვრებთ და მივსდევთ ჩვენს ხელმწიფეს, რომელმაც პირველად გამოაცხადა, რომ ჩვენ—ევროპა არ ვართ, არამედ რუსეთი და რუსეთი დიდებული რუსებისათვის უნდა იყოს.

ციმბირის გზა კეთდება. უდაბნო ხალხით ივსება. მაშ რა უნდა გავაკეთოთ.?

ვაკეთებთ-რა სახელმწიფო გზას, გადავწყვიტეთ-რა, რომ ჩვენი, რუსული მიწა-წყალი რუსებითვე დავასახლოთ, ჩვენ უნდა ვეცადნეთ, რომ რუსულმა საქმემ მაგრა მოიკიდოს ფეხი და რუსულს სიტყვას ძალი და ღონე მიეცეს.

ამიტომ საჭიროა რომ ციმბირში ჩვენის მისწრაფებისა და განზრახვის შესაფერი ჯარები გვყავდეს.

დასასრულ, წერილის ავტორი ურჩევს თავის თანამემამულეთ, მოუწოდოთ ყოველს მსურველს, როგორც ჯარს ისე მიწათ-მოქმედებს და ციმბირში დავასახლოთ. თუ ეხლა საძნელოდ ეჩვენება ვისმეს, მერე

ღმერთს მადლობას შესწირვენ და მთავრობას თავ-დაბლად მადლობას გამოუცხადებენ ამ გვარის კეთილის ყოფისთვისაო.

# უცხოეთი

—

როგორც გაზეთები იუწყებიან თავად ბისმარკის დაბადების დღის გამო დანიშნულს დღესასწაულში, მონაწილეობას არ იღებენ არც კათოლიკეთა სარწმუნოებისა და არც ელზასელი სტუდენტები. გარდა ამისა გეტტინგენის უნივერსიტეტების უმრავლესობამაც უარი გამოაცხადა ამ დღესასწაულში მონაწილეობის მიღებისა და ადგილობრივს გაზეთში შემდეგი განცხადება დაჰბეჭდეს, რომელსაც 31 კაცის ხელი აწერია: «პატივსა-ვსცემთ-რა იმ ძველებურს წესს, რომელიც გვეუბნება, რომ ყოველს სახელმწიფოს საფუძვლად უნდა ჰქონდეს სამართლიანობაო, ჩვენ არ გვსურს მონაწილეობა მივიღოთ იმ კაცის პატივსაცემელ დღესასწაულში, რომელიც ყოველთვის ფეხითა სთელავდა ამ დედა-აზრს. როგორც ნამდვილი გერმანელი სტუდენტები ჩვენ მარადჟამს თანავუგრძნობთ-რა გერმანელთა ტომების შეერთებას და სახელმწიფოს გაძლიერებას, მხოლოდ სამართლიანობის საფუძველზედ-კი ჩვენს იდეალად მიგვაჩნია ტრადიციული გერმანული ერთგულება და კანონიერებაო.

## უცხოეთის წვრილი ამბავი.

—

„Gaulois“-ა ერთს ამბავს მოგვითხრობს, საიდგანაც სჩანს, რომ საფრანგეთის ახლანდელი პრეზიდენტი პირველად კოკლენ-უფროსს გამოუყვანია სახელმწიფო ასპარეზზედ. ეს ამბავი ამ ოცის წლის წინად მომხდარა.

როდესაც ფორი ჟერ ისევ ჭავრის უბრალო ვაჭარი იყო და პარისში მოხვდებოდა ხოლმე, „საფრანგეთის თეატრში“ ხშირად დადიოდა. ერთის წარმოდგენის დროს ფოიეში გაიცნო თურმე კოკლენი, რომელზედაც ფორმა დიდი შთაბეჭდილება იქონია. ფორთან დამეგობრებულმა კოკლენმა გააცნო მას გამბეტა. გამბეტას გაცნობა—ფორის პირველი ნაბიჯი იყო საპოლიტიკო ასპარეზზედ გამოსვლისა.—ამავე წელს ჰავრში გამბეტას დახმარებით დეპუტატად იქმნა ამორჩეული და ძლევა-მოსილობით შევიდა დეპუტატთა პარლამენტში.

—

ახ გარდაცვალებულს ერც-ჰერცოგს ალბრეხტს დიდი შეძლება ჰქონდა თურმე. მისი ადგილ-მამული დაფასებულია ას ილიონ მანეთად. ამდენადვე დაფასებული მისი მოძრავი ქონება. ეს აუარებელი სიმდიდრე სამკვიდროდ დარჩათ, უფროსს მის ძმისწულს ერც-ჰერცოგს ფრიდრიხს, ქალებს და შვილი-შვილებს გარდაცვალებულისას.

—

ინგლისში, ამ საუკუნის დამდეგამდე ჩვეულებად ჰქონდათ, რომ ვინც-კი უბედი ქალი იყო ხოლმე, ერთ-გვარს პირის ასაბმელს გაუკეთებდნენ. თუ რა ჯურისა იყვნენ ეს პირის ასაბმელები, ამისი 13 ნიმუში ინახება ჩემიერეში ლანკაშირში და ამოდენივე სტრაფორდშირ-

შა. ზოგი მათგანი სწორედ საწამებელ იარაღს წარმოადგენს.

## გასართობი

გამოჩენილს მწერალს კუმბერლანდსა ჰკითხეს, რა აზრისა ხარ შერიდანის კომედიაზეო.—მე არ მესმის ამ კომედიით რისთვის არიან აღტაცებულნი, ბევრჯელ დავსწრებივარ იმის წარმოდგენას, მაგრამ ერთჯერაც არ გამღიმებიაო.

ეს სიტყვები გადასცეს შერიდანს, რომელმაც სთქვა: იგი ძალიან უმადური ყოფილა, მე გუშინ ვნახე იმისი ტრაგედია და დასაწყისიდგან დასასრულამდე გულიანად ვხარხარებდიო.

—

როდესაც ფილიპე IV-ემ პორტუგალიის სამთავრო და მასთან ერთად სხვა-და-სხვა პროვინციები დაჰკარგა და მიიღო წოდება მხოლოდ მთავრისა, დუკმა მედინა-ცელომ სთქვა: ჩვენი მეფე იმ ორმოსა ჰგავს, რომელიც უფრო-და-უფრო დიდდება, რამდენსაც აკლებენ მიწასაო.

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

I

ბ ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის საშუალებით პასუხი გავცე ბ. ტრიფონ კალანდარიშვილს.

ივერიის №-36-ში ბ-ნი ტ—ონ კალ—შვილი ცილსა მწამებს, ვითომ ჩემი კორესპონდენცია მე-25 № ში დაბეჭდილი სიმართლეს მოკლებული ყოფილიყოს.

არა, ბ. ტრ. კალანდარიშვილო! ჩემი დაწერილი კორესპონდენცია აწონილ-დაწონილია და სრულიად მართალია, რადგან ჩვენში, ე. ი. ზუგდიდის მაზრაში, სრული მყუდროება ჰსუფევს. თქვენ თუ სხვანაირად გაეგეთ ბ-ნო „მესპრაკვევ“, სათაურის მნიშვნელობა, ძლიერ სცდებით. არ ჩაჰკვირებიხართ, თორემ ძალა-უნებურად თვალს მოჰკრავდით, რომელი მხარის კეთილდღეობაზედ იყო ლაპარაკი, რომლითაც მე ვეხებოდი არამც თუ მთელს სამეგრელოს არამედ სამეგრელოს განაპირ ნაწილსაც, ქ. ზუგდიდს, სადაც დაუცხრომელი ქურდობა იყო აქამდის.

სწორედ მოგჩვენებიათ ბ. სახელ-განთქმულო „მესპრაკვევ“, ვითომ ჩვენში ქურდობა იყოს. ნურას უკაცრავად, ბ. გ., როგორც ეტყობა, თქვენი შენიშვნაა სიმართლეს მოკლებული და არა ჩემი კორესპონდენცია.

ლუკა ხუნწარია.

—

II

კვალის № 9-ში დეკ. დ. ღამბაშიძე გვისაყვედურებს, რატომ ქუთაისის საზნაურო სკოლის მოსწავლეებიც არ გამოჰყავთ ეკკლესიაზე საგალობლადო. უნდა მოვახსენოთ მ. დეკანოზს, რომ ამ სკოლის მოსწავლეებმა სხვებზე ნაკლებად არ იციან საეკკლესიო გალობა, მაგრამ, მე, აქაური გალობის მასწავლებელი, ვეირა-უქმობით ვალდებული ვარ, ვასრულებდე მღვდელთ-მსახურებას საქალებო წმ. ნინოს სასწავლებლის ეკკლესიაში და ამ მიზეზისა გამო ყოველთვის ვერ გამომყავს მგალობელთა გუნდი საგალობლად, ხოლო ხანდის-ხან-კი ინსპექტორის განკარგულებით გამოვდივართ მახლობელ ეკკლესიაზედ და ვგალობთ.

ქუთაისის სააზნაურო სკოლის გალობის მასწავლებელი მღვდ: ალ. გიორგაძე.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

26 თებერვალი.

**პეტერბურგი.** გამოცხადებულ იქნა წეს-რიგი სან-რემოში გარდაცვალებულის დიდის მთავრის ალექსი მიხეილის ძის ნაშთის პეტერბურგში გადმოსვენებისა, სადაც დაკრძალულ იქმნება პეტრე-პავლეს საკრებულო ტაძარში. ნაშთს პეტერბურგში მოასვენებენ ორშაბათს, ხოლო დაკრძალულ იქმნება სამშაბათს.

მთელს გზაზედ და „გრანიცის“ სადგურიდგან პეტერბურგამდის დანიშნული იქნება საპატიო მორიგობა იმ პირთა, რომელნიც თან ახლდნენ გარდაცვალებულს დიდს მთავარს და დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ადიუტანტთა. საგუბერნიო ქალაქებში, სადაც დღისით გაჩერდება სამგლოვიარო მატარებელი, დაუხვდებიან უმაღლესი სამღვდელოება, გუბერნატორი, ადგილობრივი სამხედრო და სამოქალაქო უწყების მოხელენი თავად-აზნაურობის წინამძღოლნი, ქალაქის გამგეობის წარმომადგენელნი და ადგილობრივ გარნიზონიდგან საპატიო ყარაული იქმნება დანიშნული. პეტრე-პავლეს ტაძარში პეტერბურგის სადგურიდგან ნაშთის გადასვენებას დაესწრებიან უდიდებულესნი თანახმად უმაღლესად დამტკიცებულის წეს-რიგისა.

კიევის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსის თანაშემწე, ქვეითა ჯარის გენერალი ვ. ნ. ტროცკი დანიშნულიქმნა ვილენის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსად.

გარდაწყვეტილ-იქმნა, რომ 1894 წლის სავარაუდო საჭიროებისათვის გადადებული კრედიტი 100,000 მანეთი მოჰხმარდეს იმ რკინის გზის შტოთა გამოკვლევას, რომელმაც ტფილის-ყარს-ერივანზედ, ლუკოვლიუბლინზედ უნდა გაიაროს და აგრეთვე იმიერ-კასპიის რკინის გზის განგრძობას.

**ლონდონი.** ჩინეთიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ იაპონელებმა დაიპყრეს ნიუშვანგის მახლობლად მდებარე იინკოვის ნავთსადგური. იაპონიის პირველი და მეორე ჯარი იინკოვთან შეერთდნენ. ჩინეთის გენერალმა სუნგმა უკან დაიწია და ტენ-ხუნკტაისაკენ დაეხვია.

იაპონიის მთავრობამ ითხოვა, ლი-ხუნგ-ჩანგმა ერთს კვირას კიდევ მოიცადოს, რადგანაც მისი მიღება არ შეგვიძლიან უადრეს 19 მარტისაო.

27 თებერვალი.

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია, რომ გერმანიის იმპერატორთან ელჩად ნამყოფი თავადი ლობანოვ-როსტოვსკი გარეშე საქმეთა სამინისტროს მმართველად იქმნა დანიშნული.

**დონის როსტოვი,** 26 თებერვალი. სრულიად სომეხთა კათალიკოსი ნახიჩევანს წავიდა.

**ათინა,** 26 თებერვალი. რუსეთის ელჩი კორფუსაკენ გაემგზავრა, სადაც მივა ალჟირიდგან მომავალი მემკვიდრე ცესარევიჩი.

**ლონდონი,** 26 თებერვალი. დეპეშა იოკოჰამადგან: „7 მარტს იაპონელებმა ინკაუს ნაპირის სიმაგრეები დაიპყრეს“.

## „ივერიის“ ფოსტა.

**ბ-ნ კორნელი მაღრაძეს.** გ. ჯაფარიძე გვთხოვს გადმოგცეთ, რომ შეატყობინოთ მას იმ თქვენი ექიმის დედა-კაცის სახელი, გვარი და აგრეთვე ადრესიც, რომელმაც თქვენ მიერ დასახელებულის ავადმყოფობის ექიმობა იცის. ადრესი: გორი, ივანე იოსელიანის სახლობაზე, ჯაფარიძის გადასაცემად.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფნი იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ექიმი მ. ტურბოვიჩი. ქალი ა. 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

პ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

ფოთის საერთაშორისო კრედიტის საზოგადოების მმართველობა ამით უცხადებს თავისს წევრებს, რომ კვირას, 19 მარტს, ამა 1895 წელს, დილის 10 საათზედ [illegible] სამმართველოს სადგომში [illegible]ლია წევრთა საერთო კრების სხდომა

1) 1894 წლის ანგარიშის განსახილველად და დასამტკიცებლად.

2) 1895 წლის ხარჯის დასამტკიცებლად.

3) მმართველობის დირექტორის ამოსარჩევად შემდეგის სამის წლისათვის ახლანდელის ნაცვლად.

4) საბჭოს ორის დეპუტატის ამოსარჩევად, რომელთაც სამსახურის ვადა უთავდებათ.

5) სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და სამის კანდიდატის ამოსარჩევად.

საზოგადოების მმართველობა სთხოვს ყველა წევრებს, ვისაც კი ხმა აქვს საერთო კრებაზედ, რწმუნების ქაღალდები სამის დღით ადრე წარმოადგინონ, ე. ი. არა უგვიანეს 16 მარტისა. (3—1004—2)

დიდი სააბრეშუმო ქარხნები **მოლტიფაოში:** (კორსიკის კუნძულზედ, საფრანგეთში) **აბრეშუმის ჭიისა** ცელიულიარული **თესლი** (პასტერის სისტემით მომზადებული).

**ი. ალოიზისა.**

მსყიდველთ შეუძლიანთ თესლი დაიბარონ ტფილისიდგან, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისაგან და ქ-ნ დ. სულხანიშვილისაგან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 39, თესლი ისყიდება 3 და 5 მისხლიან კოლოფებით; მისხალი 60 კაპეიკად. (6—869—4)

**ცხოვრება**
შვიდთა ყრმათა ეფესელთა
თარგმნილი მ. შარაძის მიერ
გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბის
ფასი ერთი შაური
ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.

მეფე დავით აღმაშენებელი
**და იმისი დრო**
ისტორიული მონოგრაფია
ნ. ურბნელისა
**ფასი ორი აბაზი**

**ზეთის სახდელი და საპნის სახარში ქარხნები**
**ი. თაიროვისა და კ. ალიხანოვისა**

ამ მიმდინარე დიდ-მარხვისათვის შეგიძლიანთ ინებოთ საჭმელში სახმარებლად: შირბახტისა, სელისა და კანაფის ზეთი, აგრეთვე თახვის ყაირე (кастор. масло), სალამპრო და მოხარშული დასაფერად, გვაქვს აგრეთვე პირველის ღირსების საპონი: ტყვიისა, მარმარილოსი და ზეთისა. ბოთლობით ისყიდება კავკასიის საათფთიაქო ნივთების სავაჭრო ამხანაგობის მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზედ ჯოვანთან, სახლი დობრჟანსკისა და ვორონცოვის ძეგლთან, დარჩო ბაქაროვთან, ნიკოლოოზის ქუჩა, ალექსანდრე—ნეველის ეკკლესიის პირდაპირ და ჩალმაიანცთან, სახლი № 1, პანასევიჩის ქუჩა.

წვრილ-წვრილად სყიდვა შეიძლება საკუთარს მაღაზიებში მიჴეილის ქუჩაზედ, სახლი კარალოვისა, ძეგლთან, იარმუკაზედ ბუღდანოვის სახლი, თათრის მოედანზედ, ქალაქის ფარდული, ავლაბრის მოედანზედ, ქალაქის ფარდულა და ოლღას ქუჩაზედ, მებურნუთოვის სახლი.

ერთიანად სყიდვა შეიძლება ქარხანაში, ერევნის გზატკეცილი, საკუთარი სახლი.

საკუთარს მაღაზიებში და ქარხანაში ისყიდება აგრეთვე საქონლის აკვები ჩენჩო.

(10—982—4).


Дозвено цензурою, Тифлисъ 27-го Февраля 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე